ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №176

2016 წლის 24 ნოემბერი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ბ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს (ს.ევგენიძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №141-ში ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე 35.9 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე (ს/კ 20.42.04.385) 2 (ორი) წლის ვადით იჯარის ფორმით სასადილოს მოწყობის მიზნით;

2. ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №141-ში ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე 35.9 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (ს/კ №20.42.04.385) წლიური საწყისი საიჯარო ქირა განისაზღვროს 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე